ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2544608

ნომერი: AR1393090

თარიღი : 04.04.2016

გაცემის თარიღი : 15.04.2016

გაცნობის თარიღი : 20.04.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეველეს , N 7/9 , (ნაკვ.14/3) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახა ჭოველიძე პ/ნ 01010002946
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 16 ბ. 51

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: სამსახურის მიერ №2529070 გადაწყვეტილებით გეცნობათ, რომ დოკუმენტაციის კვლავ არასრულყოფილად წარმოდგენის

შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. აქედან გამომდინარე, ვინაიდან საპროექტო დოკუმენტაცია კვლავ არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. ახალი განცხადების რეგისტრაციისას გაითვალისწინეთ:

წარმოდგენილ ფოტომონტაჟზე ასახულ სარეკლამო აბრის შავ ნაწილში განთავსებული წარწერა არ იკითხება. საჭიროა წარმოადგინოთ ისეთი ფოტომონტაჟი, რომელზეც ყველა ტექსტური ნაწილის წაკითხვა იქნება შესაძლებელი, რა დროსაც რეკომენდაციის სახით კვლავ განგინმარტავთ, რომ არქიტექტურის სამსახურში შემოსულ სარეკლამო აბრაზე შესრულებული წარწერა უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტირირებულ) ფორმას. ორენოვანი მანათობელი წარწერის შემთხვევაში კი ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.